სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სამივლინებო თანხების გეგმაზომიერად განკარგვის წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

წინამდებარე რეგულაცია განსაზღვრავს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) საბჭოს 2014 წლის 6 ივნისს გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №7) დამტკიცებული კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სამივლინებო თანხების გეგმაზომიერად განკარგვის წესს.

მუხლი 2. სამივლინებო თანხების განკარგვის წესი

1. აკადემიური პერსონალის მიერ სამივლინებო ხარჯების დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას კომისია ითვალისწინებს:
   ა) ღონისძიების მნიშვნელობას (რეიტინგს);
   ბ) მომხსნებელთა რაოდენობას (თანაავტორობა – არაუმეტეს ორი თანაავტორისა);
   გ) საბიუჯეტო წლის განმავლობაში სამივლინებო ხარჯებით სარგებლობის რაოდენობას;
   დ) საბიუჯეტო თანხების ხარჯვის ეფექტიანობას (ერთ მოხსენებაზე, ერთი მომხსენებლისა და თანაავტორობის შემთხვევაში, გახარჯულ თანხებს შორის მცირე განსხვავება);
   ე) ბიუჯეტში არსებული სამივლინებო თანხების ოდენობას.
2. ქვეყნის გარეთ მივლინებისას სამივლინებო თანხების ანაზღაურების ოდენობა იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც საბიუჯეტო წლის განმავლობაში არ დაფინანსებულა, ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრება 70 – 100 % ოდენობით.
   ერთი მოხსენება - ერთი მომხსენებელი - არაუმეტეს 3 000 ლარისა.
   ერთი მოხსენება - ორი თანაავტორი - არაუმეტეს 4 000 ლარისა (ჯამური ხარჯი).
3. აკადემიურ პერსონალს, რომელმაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში უკვე ისარგებლა ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული საბიუჯეტო სახსრებით, კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით შემდეგი მივლინება დაუფინანსდება საერთო სამივლინებო ხარჯების არაუმეტეს 50 % -ის ოდენობით.

   ერთი მოხსენება - ერთი მომხსენებელი - არაუმეტეს 1 500 ლარისა.

   ერთი მოხსენება - ორი თანაავტორი - არაუმეტეს 2 000 ლარისა (ჯამური ხარჯი).

4. ქვეყნის შიგნით მივლინებისას სამივლინებო ხარჯები აკადემიურ პერსონალს აუნაზღაურდება არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით.

5. თითოეულ აკადემიურ პერსონალს საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაუფინანსდება არაუმეტეს ორი სამივლინებო ხარჯები.
6. კომისია ამ მუხლით განსაზღვრული ხარჯების ანაზღაურების დროს ითვალისწინებს მგზავრობის (საშუალო ფასის ბილეთები), კონფერენციის მოსაკრებლის, სასტუმროსა (მაქსიმუმ სამ ვარსკვლავიანი, საოჯახო სასტუმროს შემთხვევაში შესაძლებელია ოთხვარსკვლავიანი) და დღიურ ხარჯს (კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით). დღიური და სასტუმროს ხარჯი ანაზღაურდება მაქსიმუმ კონფერენციის დღეების, წინა და მომდევნო დღეების ჩათვლით.
7. კომისია იღებს გადაწყვეტილებას მაღალრეიტინგული (იმპაქტ ფაქტორი, ISSN) გრიფის მქონე ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების გადასახადის ნაწილობრივ ან სრულად დაფარვის შესახებ.
8. ყოველი წლის ბოლოს ბიუჯეტის შესაბამის მუხლში გაუხარჯავი თანხების დარჩენის შემთხვევაში, თანხა გადანაწილდეს იმ აკადემიურ პერსონალის სამივლინებო თანხების ანაზღაურებაზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში სამივლინებო ხარჯების ყველაზე მცირე ნაწილი აუნაზღაურდა.

მუხლი 4. წესის დამტკიცება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. სამივლინებო თანხების განკარგვის წესის პროექტს შეიმუშავებს 2014 წლის 6 ივნისს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ბიუჯეტით გათვალისწინებული სამივლინებო, წარმომადგენლობითი, სესიების, კონფერენციებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისა და მონაწილეობისთვის საჭირო თანხების გეგმაზომიერად განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის დებულების“ შესაბამისად შექმნილი კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი ამტკიცებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების გამოცემის გზით.
2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით.